მოსწავლეთა თვითმმართველობა სკოლის
დემოკრატიული ფუნქციონირებისთვის

ნაწილი 1

მოსწავლეთა თვითმმართველობა

USAID
ამერიკელი ხალხისგან
PH international
ADVANCING SOCIETIES, CONNECTING PEOPLE

ციალა გაგნიძე
ლიანა კობესაშვილი

მოსწავლეთა თვითმმართველობა სკოლის დემოკრატიული ფუნქციონირებისთვის

ნაწილი I

მოსწავლეთა თვითმმართველობა

USAID
ამერიკელი ხალხისგან
PH international
ADVANCING SOCIETIES, CONNECTING PEOPLE

მოსწავლეთა თვითმმართველობა სკოლის დემოკრატიული ფუნქციონირებისთვის

მოსწავლეთა თვითმმართველობა

ავტორები:
ციალა გაგნიძე
ლიანა კობესაშვილი

დიზაინერი:
თამარ ნიკოლეიშვილი

რედაქტორი:
ნათია ნაცვლიშვილი

ჯგუფის ხელმძღვანელი:
მაკა ბიბილეიშვილი

2022 წელი

რესურსი მომზადდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ძალისხმევის საფუძველზე. ერთპიროვნული პასუხისმგებლობა მოცემულ რესურსში ასახული ინფორმაციისა და მასში გამოთქმული მოსაზრებების თაობაზე ეკისრებათ ავტორებს და ის არ წარმოადგენს PH international-ის, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

შესავალი

2022-2027 წლებში ორგანიზაცია PH international-ის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით საქართველოში USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამა ხორციელდება.

პროგრამის მიზანია მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების, სამოქალაქო პროცესებში ჩართული ახალგაზრდების აღზრდა. პროგრამა ითვალისწინებს ტექნოლოგიების დანერგვას სამოქალაქო განათლების სწავლა-სწავლების პროცესში, სკოლაში დემოკრატიული კულტურის დანერგვის ხელშეწყობას, ბიზნესისა და სკოლების დაკავშირებას.

წინამდებარე გზამკვლევი მომზადებულია პროგრამის ფარგლებში და მოიცავს მოსწავლეთა თვითმმართველობის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს. რესურსი შედგება სამი ნაწილისგან:

- პირველ ნაწილში გაეცნობით მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრებისთვის განკუთვნილ ინფორმაციას თვითმმართველობების როლისა და საქმიანობის შესახებ;
- მეორე ნაწილი სკოლის ადმინისტრაციის წევრებს დაეხმარება მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობის მხარდაჭერაში;
- მესამე ნაწილი მიზნად ისახავს მოსწავლეთა თვითმმართველობების გაძლიერებას საგანმანათლებლო რესურსცენტრების პერსპექტივიდან.

მოცემული რესურსი საშუალებას მისცემს მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრებს, ზუსტად განსაზღვრონ თავიანთი როლი და ადგილი სკოლის სტრუქტურაში დაეხმარება მათ, აქტიურად ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში, მონაწილეობა მიიღონ სკოლისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, წვლილი შეიტანონ სკოლის დემოკრატიული კულტურის განვითარებაში.

[1] გოგლიჩიძე.ა. მონაწილეობა სკოლის თვთმართველობაში, მოსწავლის წიგნი, 2011 წ. გვ.24

შინაარსი

მოსწავლეთა თვითმმართველობა

მოსწავლეთა თვითმმართველობა და მისი ჩამოყალიბების მოკლე ისტორია 1

მოსწავლეთა თვითმმართველობის როლი და ფუნქციები სკოლის მართვაში 2

მოსწავლეთა თვითმმართველობის სტრუქტურა და საქმიანობა 3

მოსწავლეთა თვითმმართველობის ადგილობრივი გამოცდილება 4

მაგალითი 1 "მოსწავლეთა თვითმმართველობა ძალადობის წინააღმდეგ" 5

მაგალითი 2 "სკოლის შინაგანაწესი და მოსწავლეთა თვითმმართველობა" 6

მოსწავლეთა თვითმმართველობა და მისი ჩამოყალიბების მოკლე ისტორია

მოსწავლეთა თვითმმართველობა[2] არის სკოლის დემოკრატიული მმართველობის სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი სუბიექტი. ის წარმოადგენს სკოლის მოსწავლეთა ხმას სკოლის მმართველობით რგოლში. მოსწავლეთა თვითმმართველობა მის თითოეულ წევრს საშუალებას აძლევს, კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებით, პრაქტიკულად შეიძინოს ცოდნა, აღიჭურვოს უნარებით და ჩამოუყალიბდეს დამოკიდებულებები, რომლებიც მას დემოკრატიული საზოგადოების აქტიურ მოქალაქედ აქცევს. მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი საზოგადოებრივ საქმიანობაში, კერძოდ, სკოლაში არსებული პრობლემებისა და საჭიროებების იდენტიფიცირებასა და მათ გადაჭრაში, სკოლის მოსწავლეთა მხარდამჭერ საქმიანობაში, რაც თავისთავად ამდიდრებს მოსწავლეთა სოციალურ გამოცდილებას, აყალიბებს მათ მოქალაქეობრივ მრწამსს, დემოკრატიულ ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს.

საქართველოში მოსწავლეთა თვითმმართველობის იდეა უფრო ადრე დაიბადა, ვიდრე დაიწყებოდა სკოლის თვითმმართველობის იურიდიული რეგულირება[3]. ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში დიმიტრი უზნაძე თვლიდა, რომ „სკოლა პატარა სახელმწიფოა და ამ სახელმწიფოს მოქალაქენი მისი აღსაზრდელები არიან. დაე, სკოლა დემოკრატიულად იყოს მოწყობილი, დაე მისი მართვა, არსებითად, მოსწავლეთა ხელში გადავიდეს, მართვის ცოცხალი პრაქტიკა გამოაწრთობს მოზარდი თაობის მოქალაქეობრივ ხასიათს“[4].

ამერიკაში[5] უკვე მე-19 საუკუნეში ჩნდებიან მოსწავლეები, რომლებიც საკუთარ თავზე იღებენ პასუხისმგებლობას თავიანთი სკოლების ფუნქციონირებაზე. მათი, როგორც მოსწავლეთა თვითმმართველობის/ხელისუფლების აქტიურობა XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში უფრო იზრდება.

---

[2] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლების წესდების დამტკიცების შესახებ“. 15 სექტემბერი, 2005 წელი

[3] საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ. თავი X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთა თვითმმართველობა

[4] დ. უზნაძე, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ამოცანები, 1917წ.

[5] https://www.encyclopedia.com/children/encyclopedias-almanacs-transcripts-and-maps/student-government

პოლონელი პედაგოგები - იანუშ კორჩაკი და ალექსანდრე კამინსკი (XX საუკუნე) თვლიდნენ, რომ დასჯისა და მკაცრი დისციპლინის ნაცვლად, მოსწავლეებს უნდა მისცემოდათ გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის მოხდენის საშუალება, რაც, თავის მხრივ, მათ პასუხისმგებლობას გაზრდიდა.

მოსწავლეთა თვითმმართველობის როლი და ფუნქციები სკოლის მართვაში

მოსწავლეთა თვითმმართველობა სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ერთ-ერთი რგოლია, რომელსაც ჰყავს თავისი არჩეული წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში (სკოლის უმაღლეს არჩევით ორგანოში). შესაბამისად, მოსწავლეთა თვითმმართველობა, თავისი წარმომადგენლის მეშვეობით, ჩართულია ყველა საქმიანობაში, რასაც ახორციელებს სამეურვეო საბჭო.
მოსწავლეთა თვითმმართველობის გამართული ფუნქციონირება ხელს უწყობს სკოლაში დემოკრატიული კულტურის განვითარებას, მოსწავლეებში დემოკრატიული ღირებულებების შეთვისებას, პასუხისმგებლობების საკუთარ თავზე აღებას, რაც, თავის მხრივ, ზრდის მათ დამოუკიდებლობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

მოსწავლეთა თვითმმართველობა:

- სამეურვეო საბჭოს წარუდგენს წინადადებებს სკოლის მიერ მოპოვებული გრანტის განკარგვასთან დაკავშირებით;
- შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის შინაგანაწესის შესახებ;
- წევრთა ერთი მეხუთედის ინიციატივით ქმნის სასკოლო კლუბებს.
- სამეურვეო საბჭოს წარუდგენს წინადადებებს სკოლისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე;
- ირჩევს თავის წარმომადგენელს სამეურვეო საბჭოში და დისციპლინურ კომიტეტში;

ვინაიდან მოსწავლეთა თვითმმართველობას ჰყავს თავისი წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში, ის ავტომატურად ხდება სკოლაში მიმდინარე პროცესების - სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების, ფინანსური და ადამიანური/საკადრო პოლიტიკის მართვის, სკოლის სამომავლო განვითარების ხედვისა და მიზნების ჩამოყალიბების, სკოლის სტრატეგიული გეგმის შემუშავების, სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნის თანამონაწილე.

მოსწავლეთა თვითმმართველობის სტრუქტურა და საქმიანობა

მოსწავლეთა თვითმმართველობა იქმნება არჩევნების საფუძველზე და წარმოადგენს კლასის მოსწავლეთა თავისუფალი ნების გამოხატულებას. თვითმმართველობის წევრები საკუთარი შემადგენლობიდან, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ირჩევენ შესაბამისი საფეხურის თვითმმართველობის თავმჯდომარეს. საშუალო საფეხურის თვითმმართველობის წევრები იმავე წესით ირჩევენ წარმომადგენელს სამეურვეო საბჭოში. მოსწავლეთა თვითმმართველობას ხელმძღვანელობს თვითმმართველობის მიერ არჩეული თავმჯდომარე.

იმისათვის, რომ სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის ფუნქციონირება იყოს ეფექტიანი, მნიშვნელოვანია, რომ ის იყოს სტრუქტურირებული[6] და ჰქონდეს:

- დებულება[7], მისია და მიზნები, სამოქმედო გეგმა;
- წინასწარ გაწერილი ბიუჯეტი, რომელსაც წარუდგენს სკოლას ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში.
- სკოლის ყველა მოსწავლისთვის ინფორმაციის/მიღებული გადაწყვეტილებების მიწოდებისა და უკუკავშირის მიღების წინასწარ განსაზღვრული წესები/პროცედურები;

6 გოგლიჩიძე.ა.მონაწილეობა სკოლის თვითმმართველობაში, მოსწავლის წიგნი გვ.74

7 გოგლიჩიძე.ა.მონაწილეობა სკოლის თვითმმართველობაში, მოსწავლის წიგნი. გვ.75

მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრები უნდა:

- იცნობდნენ სკოლის სტრუქტურას და თითოეული სტრუქტურული ერთეულის ფუნქცია-მოვალეობას;
- გამოხატავდნენ თავიანთ დამოკიდებულებას სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტებზე;
- იკრიბებოდნენ წინასწარ დადგენილი პერიოდულობით, საჭიროების შემთხვევაში-რიგგარეშეც;
- განიხილავდნენ სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ და/ან საჭიროების შემთხვევაში ახლადგამოვლენილ საკითხებს;
- სასკოლო საკითხების განხილვისას, გამოდიოდნენ მოსწავლეთა სახელით;
- წარმოადგენდნენ მოსწავლეთა პოზიციას, განიხილავდნენ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფის საკითხებს;
- სწავლობდნენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს და ქმნიდნენ მათი რეალიზების პირობებს;
- მონაწილეობდნენ სკოლის პრობლემების გამოვლენისა და გადაჭრის პროცესში;
- ჰქონდეთ აქტიური კომუნიკაცია სკოლის დირექციასთან.

მოსწავლეთა თვითმმართველობის ადგილობრივი გამოცდილება

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ უზნაძე[8] თვლიდა, რომ სკოლაში მოსწავლეებმა უნდა განივითარონ ის კომპეტენციები, რომლებიც მოეთხოვებათ დემოკრატიული საზოგადოების მოქალაქეებს. ასეთი გამოცდილების მიღების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა სკოლაში არსებული აქტიური მოსწავლეთა თვითმმართველობა. საკანონმდებლო რეგულაციის მიხედვით, მოსწავლეთა თვითმმართველობები საქართველოს ყველა სკოლაში უნდა ფუნქციონირებდეს. ზოგიერთ სკოლაში მათი საქმიანობა საინტერესო გამოცდილებას ქმნის.

8 დემოკრატიულად ორგანიზებული სახელმწიფო ესწრაფვის აღზარდოს არა მარტო პიროვნება, არამედ, პირველ ყოვლისა, მოქალაქე [...] უდავოა, რომ დემოკრატია დაინტერესებულია შეგნებულ მოქალაქეთა აღზრდით, რომლებსაც უნარი ექნებათ, შემოქმედებითად ჩაერიონ სახელმწიფოს ცხოვრების განვითარების პროცესში“, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ამოცანები 1917 წ.

მაგალითი 1

„მოსწავლეთა თვითმმართველობა ძალადობის წინააღმდეგ“

პრობლემა: სკოლაში ძალადობის სხვადასხვა ფორმიდან ყველაზე მეტად გავრცელებულმა ფსიქოლოგიური ძალადობის სიჭარბემ არასასიამოვნო და არათანამშრომლობითი გარემო შექმნა როგორც მოსწავლეებს, ასევე, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის, რაც, თავის მხრივ, აისახა მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზეც.

მიზანი: მოზარდის განვითარების პროცესში ფსიქოლოგიური ძალადობის მნიშვნელობაზე სასკოლო საზოგადოების წევრების ყურადღების გამახვილებით, ძალადობის ფაქტების შემცირების ხელშეწყობა.

აქტივობები: მას შემდეგ, რაც თვითმმართველობისათვის ცნობილი გახდა მოსწავლეთა პრობლემები ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებით, მოსწავლეებმა დაიწყეს მუშაობა მათი მოგვარების გზებზე. ამისათვის მოიწვიეს თვითმმართველობის სხდომა და განიხილეს არსებული მდგომარეობა, რის საფუძველზეც დაიგეგმა და განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- მოსწავლეთა თვითმმართველობამ, ონლაინკითხვარის გამოყენებით, ჩაატარა ანონიმური გამოკითხვა. გამოკითხვის მიზანი იყო იმის შესწავლა, თუ რა ქმედებას აღიქვამენ სასკოლო საზოგადოების წევრები ძალადობად. ონლაინკითხვარში მითითებული იყო გრაფები: „ქმედება, რომელიც თქვენთვის დისკრიმინაციულია“, „სიტყვები/წინადადებები, რომლებიც თქვენთვის დამამცირებელი და შეურაცხმყოფელია“, „როგორია თქვენი დამოკიდებულება მეტსახელების მიმართ“ და ა. შ.
- მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მოსწავლეთა თვითმმართველობამ გააკეთა ხელნაკეთი და ონლაინპოსტერები, რომლებზეც დატანილი იყო ყველა ის სიტყვა, წინადადება თუ ქმედება, რომელიც მიუღებელი აღმოჩნდა მოსწავლეებისთვის. ხელნაკეთი პოსტერები განათავსეს სასკოლო სივრცეში ყველასათვის თვალსაჩინო ადგილებში, ონლაინვერსია გავრცელდა სკოლის ფეისბუქგვერდის საშუალებით.
- თვითმმართველობამ სასკოლო გარემოში ორგანიზება გაუკეთა მოთხრობების კონკურსს. კვლევის შედეგებით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დაინტერესებულმა მოსწავლეებმა დაწერეს მოთხრობები. მათში ასახული იყო ემოციები და დამოკიდებულებები, რომლებსაც გრძნობენ ძალადობის მსხვერპლი მოზარდები.

- საუკეთესო ნაშრომები გამოვლინდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. მოსწავლეთა თვითმმართველობამ, კერძო სექტორთან თანამშრომლობით, დაბეჭდა მოთხრობების კრებული.
- მოთხრობების კრებულზე დაყრდნობით, ძალადობის პრევენციის მიზნით, გაკვეთილები ჩაატარეს სამოქალაქო განათლების, ქართულისა და უცხოური ენების მასწავლებლებმა.
- კრებულების ნაწილი დარიგდა სკოლაში. დარჩენილი ეგზემპლარები ინახება სკოლის ბიბლიოთეკაში და პერიოდულად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესის რესურსად.
- მოთხრობების კრებულისა და პროექტის ფარგლებში მომზადებული პოსტერების ელექტრონული ვერსიები მეილით დაიგზავნა მშობლებთან.

შედეგი:

პროექტის განხორციელების შედეგად, სასკოლო საზოგადოების წევრები დაფიქრდნენ და გაიაზრეს ძალადობისა და დისკრიმინაციის გავლენა მოზარდების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, რამაც სკოლაში შეამცირა აღნიშნული ფაქტები.

მაგალითი 2

„სკოლის შინაგანაწესი და მოსწავლეთა თვითმმართველობა“

პრობლემა: მოსწავლეებში სკოლის შინაგანაწესის შინაარსისა და მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობის გამო მრავალი დისციპლინური დარღვევა შეინიშნებოდა. ამავე მიზეზით, ხშირად ეფექტურად არ იყო გამოყენებული მოსწავლეთა წახალისების მექანიზმები.

მიზანი: მოსწავლეების მხრიდან სკოლის შინაგანაწესის მნიშვნელობის გააზრება და აღნიშნული დოკუმენტის ეფექტური მუშაობის ხელშეწყობა.

აქტივობები: პროექტის ფარგლებში მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანიზებითა და ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, ერთი თვის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

თვითმმართველობა გაეცნო სკოლის შინაგანაწესს, ადმინისტრაციის წარმომადგენლები ეხმარებოდნენ მოსწავლეებს დოკუმენტის შინაარსის დამუშავებაში;

- თვითმმართველობის წარმომადგენლებმა, კლასების მიხედვით, ჩაატარეს კვლევა, რამდენად ფლობდნენ ინფორმაციას სკოლის შინაგანაწესის შესახებ და მოამზადეს ანგარიში;
- კვლევის შემდეგ, ინფორმაცია სკოლის შინაგანაწესის შესახებ, თვითმმართველობის თავმჯდომარეების საშუალებით, მივიდა თითოეულ მოსწავლემდე. კლასებში, დამრიგებლების ჩართულობით, მოეწყო აღნიშნული დოკუმენტის განხილვა;
- კლასებმა გაინაწილეს დღეები, რომელთა განმავლობაშიც აკვირდებოდნენ, რამდენად იცავს შინაგანაწესით გაწერილ დებულებებს სასკოლო საზოგადოება (კლასებზე დღეების გადანაწილება მოხდა ისე, რომ ერთი თვე სრულად მოეცვა ამ საქმიანობას. თითო კლასი დაკვირვებას აწარმოებდა რამდენიმე დღე);
- შეგროვებული მონაცემების საფუძველზე, კლასის თვითმმართველობის თავმჯდომარეებმა მოამზადეს ანგარიში. **მნიშვნელოვანია, რომ კონკრეტულ ფაქტებზე დაკვირვებისას არ ხდებოდა პიროვნების იდენტიფიცირება, შესაბამისად, ანგარიშიც არ მოიცავდა პირად ინფორმაციას (სახელები და გვარები არ ფიქსირდებოდა);**
- თვითმმართველობამ მოამზადა და სამეურვეო საბჭოს (სკოლის დირექტორის წარდგინებით, სამეურვეო საბჭო ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესს) გააცნო პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაკვირვების ანგარიშსა და თვითმმართველობის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს შინაგანაწესთან დაკავშირებით.

შედეგი:

მოსწავლეებმა სიღრმისეულად გაიაზრეს დოკუმენტის მუხლები; გააცნობიერეს მისი მნიშვნელობა და როლი სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში. შედეგად, დოკუმენტი გახდა ქმედითი, რამაც განაპირობა დისციპლინური გადაცდომების შემცირება და წახალისების მექანიზმების ეფექტიანი ფუნქციონირება.

მოსწავლეთა თვითმმართველობის საერთაშორისო გამოცდილება

მოსწავლეთა თვითმმართველობები მსოფლიოს მასშტაბით ბევრ ქვეყანაში გვხვდება. მრავალფეროვანია მათი გამოცდილება და, დიდწილად, დამოკიდებულია ამ ქვეყნებში არსებული დემოკრატიის ხარისხზე, თვითონ მოსწავლეთა მოქალაქეობრივ აქტიურობაზე, სახელმწიფოს დამოკიდებულებასა და ნებაზე, განავითაროს მოსწავლეებში დემოკრატიული ღირებულებები. ზოგიერთ ქვეყანაში

მოსწავლეთა თვითმმართველობები სკოლების ბაზაზე ფუნქციონირებენ, ხოლო რიგ ქვეყნებში მოსწავლეთა თვითმმართველობები გასცდნენ სკოლის კედლებს, შექმნეს გაერთიანებები და ეროვნულ დონეზე მოქმედებენ, მაგალითად:

- ესტონეთის მოსწავლეთა საბჭოების კავშირი (დაარსდა 1998 წელს) დღეისთვის აერთიანებს 90 000 მოსწავლეს მთელი ესტონეთის მასშტაბით. კავშირი თანამშრომლობს ესტონეთის განათლებისა და კვლევის სამინისტროსთან, სოციალური დაცვის სამინისტროსთან და სხვადასხვა ახალგაზრდულ ორგანიზაციასთან როგორც ესტონეთში, ასევე, მთელ მსოფლიოში. კავშირი ყოველწლიურად აწყობს, მინიმუმ, 3 ფართომასშტაბიან ღონისძიებას, მათ შორის, ორ საერთო კრებას, რათა კავშირის წევრებმა განსაზღვრონ პოზიცია რეგიონის პოლიტიკის საკითხთან დაკავშირებით, დაადასტურონ დოკუმენტები და აირჩიონ საბჭო. ასევე, კავშირი ახორციელებს სხვადასხვა პროექტს. მოსწავლეთა თვითმმართველობის საბჭოში შექმნილია სხვადასხვა კომიტეტი მოსწავლეთა მიერ დასმული პრობლემური და/ან მიზნობრივი საკითხების განსახილველად და შესაბამისი საკითხები განიხილება შესაბამის კომიტეტებში;

- ამერიკის შეერთებული შტატების მოსწავლეთა მთავრობების ძირითადი სტრუქტურა, რომლის მიხედვითაც ხდება მოსწავლეთა მთავრობების მოდელირება, არის აშშ-ს მთავრობის მოდელის მიხედვით მოწყობილი. ის შედგება სამი შტოსგან: აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო. ეს შტოები მუშაობენ ერთად, რათა უზრუნველყონ ძალაუფლების ბალანსი მოსწავლეთა მთავრობაში;

- სერბეთში, ქალაქ ვრანიეში, ივან ივანოვიჩის სახელობის სკოლის მოსწავლეებისათვის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად გადატვირთული სატრანსპორტო მოძრაობა იქცა, რომელიც საფრთხეს უქმნიდა სკოლის მოსწავლეების უსაფრთხოებას. ისინი შეთანხმდნენ, რომ ამ პრობლემის მოგვარების საუკეთესო საშუალება იქნებოდა გზებზე, სკოლის სიახლოვეს, შუქნიშნების განლაგება. მხარდაჭერის მოსაპოვებლად და შესაბამისი დახმარების მისაღებად, მათ შეხვედრები გამართეს საგზაო პოლიციის წარმომადგენლებთან, სამშენებლო სექტორის დირექტორატთან და გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან, როგორც პოტენციურ დამფინანსებლებთან. ფართო საზოგადოების ინფორმირებისა და პრობლემის წარმოჩენის მიზნით, მოსწავლეებმა მიმართეს მედიას და ადგილობრივი სატელევიზიო არხის საშუალებით წარდგნენ საზოგადოების წინაშე, სატრანსპორტო პოლიციისა და სამშენებლო სექტორის დირექტორატის წარმომადგენლებთან ერთად. მოსწავლეების ძალისხმევის შედეგი იყო საგზაო შუქნიშნების დადგმა ქალაქ ვრანიეში არსებული ყველა სკოლისა და საბავშვო ბაღის სიახლოვეს[9].

9 ბეკმენი.ე. ტრაფორდი. ბ. სკოლების დემოკრატიული მმართველობა.გვ.81.